



CCBE-ის 2016 წლის პრეზიდენტი, გენერალური მდივანი - ფილიპ ბასერატი და ყოფილი პრეზიდენტი - მარია სლაზაკი.

CCBE Info

N° 48

დეკემბერი 2015 - იანვარი 2016

2016 წლის რედაქცია: წლის ყველა საფრთხე. CCBE-ის კონფერენცია: იურიდიული პროფესიის ინოვაციები და მომავალი; CCBE-ის ინიციატივა ჩინელი ადვოკატების მხარდასაჭერად; საფრთხის ქვეშ მყოფი ადვოკატების დღე; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო; ევროპელი ადვოკატების ფონდი; უდანაშაულობის პრეზუმფცია; სემინარი ადვოკატების სპეციალიზაციაზე; პარიზის ადვოკატთა ასოციაციის ღონისძიება; დაიმასხოვრე თარიღი.

2016 წლის რედაქცია: წლის ყველა საფრთხე.

მას შემდეგ რაც ევროინტეგრაციის კრიზისი შეიქმნა, საჭიროა ევროპული გაერთიანების დაშლის თავიდან აცილება. 2008 წლიდან ევროპამ თანმიმდევრულად განიცადა: ფინანსური კრიზისი, რომელსაც მოყვა ეკონომიკური კრიზისი, ევროზონის კრიზისი, მიგრანტთა და ლტოლვილთა მასობრივი შემოდინება, ტერორიზმის ნიადაგზე გაზრდილი შეიარაღებული თავდასხმები. ამასობაში ახალი დაძაბულობები წარმოიქმნა აღმოსავლეთში.

ზოგიერთი სახელმწიფო ამ ყველაფერს გამოეხმაურა ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად კანონების მიღებით. ხალხთაშორის შიში საზრდოობს ავტორიტარული რეაქციით. ადამიანები ექსტრემალური გადაწყვეტილებების მიღებით ცდუნების წინაშე აღმოჩნდნენ.

ევროპულ პროექტს, რომელიც დაფუძნებულია მშვიდობაზე, ტოლერა

ნტობაზე, თავისუფლებაზე, მსოფლიო გახსნილობასა და კანონის უზენაესობაზე, აღარ ითვალისწინებენ.

ჩვენ, ევროპელი ადვოკატები, ამ კრიზისისა და გაურკვევლობის დროს კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ ჩვენი ღრმა რწმენით არ შეიძლება დემოკრატიულ საზოგადოებაში პატივისცემის გარეშე, ინდივიდუალური და კოლექტიური თავისუფლების გარეშე, მუდმივად ვამტკიცებდეთ კანონის უზენაესობას და მისი როლის ზრდის საჭიროებას. ამავე დროს, ყველა მოქალაქე ადვოკატებისგან ითხოვს მათი უფლებების დაცვას. ადვოკატებმა უნდა განუმარტონ მათ რომ არ არსებობს საზოგადოება მართლმსაჯულების გარეშე, ისევე როგორც მართლმსაჯულება ადვოკატის გარეშე. 2016 წელი არის დიდი საფრთხეების წელი, მაგრამ ის უდაოდ უნდა იყოს ადვოკატთა სიფიხილისა და ბრძოლის წელი.



CCBE-ის პრეზიდენტი - მაიკლ ბენშოუ

CCBE-ის კონფერენცია: იურიდიული პროფესიის მომავალი და ინოვაციები

პირველად 2016 წლის 21 ოქტომბერს პარიზში, CCBE-ი ორგანიზებას გაუწევს ძირითად ერთ დღიან კონფერენციას - იურიდიული მომსახურების მომავლის შესახებ. ამ კონფერენციის სათაური არის: „იურიდიული პროფესიის ინოვაციები და მომავალი.“ კონფერენციაზე დასმული იქნება ოთხი საკითხი, რომელიც განხილული იქნება მრგვალი მაგიდის ფორმატში - მართლმსაჯულების მომავალი; იურიდიული მომსახურების მომავალი; იურიდიული კომპანიების მომავალი; იურიდიული საზოგადოებების მომავალი.

უფრო ვრცლად აღნიშნული კონფერენციის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნება შემდეგ თვეს. დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით: მადელინ კელეჰერს. (kelleher@ccbe.eu)

CCBE-ის ინიციატივა ჩინელი ადვოკატების მხარდასაჭერად

CCBE-ი აგრძელებს ჩინელი ადვოკატების მხარდაჭერას. იანვარში CCBE-ი უერთდება გლობალურ პეტიციას, რომელიც ინიცირებულია ჩინეთში ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლ ადვოკატთა და ჩინელი ადვოკატების მხარდამჭერი ტაივანური ქსელისგან. ნთვე გავიდა მას შემდეგ, რაც გასული წლის ივლისის თვეში დაარბიეს

ადამიანის უფლებათა დამცველი ადვოკატები. განცხადებით მიმართეს ჩინეთის მთავრობას, რომ პატივი სცენ მიმდინარე მოვლენებს, დაიცვან კანონის უზენაესობა და გაათავისუფლონ უკანონოდ დაკავებული 36 ადვოკატი. პეტიციას შეუერთდა მსოფლიოს 106 ორგანიზაცია.

პეტიციას, რომელიც ინიცირებული იყო ACAT-ის მიერ, ასევე შეუერთდა ი CCBE-ის პრეზიდენტი, რომელმაც თხოვნით მიმართა რომ გაენთავისუფლებინათ უკანონოდ დაკავებული ჩინელი ადვოკატები. წერილს შეუერთდა 20 ცნობილი ადვოკატი და იურიდიული საზოგადოების მაღალი რანგის პიროვნებები. ამწერილს მოყვა დიდი მედია გამოხმაურება.

საფრთხის წინაშე მყოფი ადვოკატების დღე

22 იანვარს ევროპელმა დემოკრატმა ადვოკატებმა (EDL), დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლ ევროპელ ადვოკატთა ასოციაციამ (ELDH), საფრთხის ქვეშ მყოფ ადვოკატთა ფონდმა, მხარი დაუჭირეს CCBE-ის ინიციატივას საფრთხის ქვეშ მყოფ ადვოკატთა დღის დაწესებასთან დაკავშირებით. ყოველ წელს ეს ორგანიზაცია ირჩევს ქვეყანას, სადაც ადვოკატებს ყველაზე ექსტრემალურ პირობებში უწევთ მუშაობა. წელს ორგანიზაციამ აირჩია ჰონდურასი, სადაც 2010 წლის შემდეგ 90 ადვოკატი გარდაიცვალა ძალადობრივ გარემოებაში. ამის ფონზე CCBE-იმ მონაწილეობა მიიღო აქციაში, რომელიც გაიმართა ბრიუსელში ჰონდურასის საელჩოსთან. ასევე იყო იმ დელეგაციის წევრი, რომელიც შევიდა საელჩოში და პეტიცია გადასცა ჰონდურასის ხელისუფლებას.

დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ მათ საიტზე: (<http://dayoftheendangeredlawyer.eu/>)



აქცია ბრიუსელში, ჰონდურასის საელჩოსთან

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

2016 წლის 1 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონის გამოყენების პირობებში ცვლილებები შევიდა ძალაში. ამიერიდან საჭიროა ახალი საგანაცხადო ფორმა. სასამართლოს ფორმალური

მოთხოვნის გამოყენების შეუსრულებლობა, რომელსაც საფუძვლად უდევს სასამართლო კოდექსის 47-ე მუხლი, გამოიწვევს განცხადების მიმდინარეობის შეწყვეტას და გაუქმებას. ახალი საპლიკაციო ფორმა დამატებით

ინფორმაციასთან ერთად დაეხმარება განმცხადებელს, რომ წარადგინოს აპლიკაცია სასამართლოს ინტერნეტ გვერდზე: <http://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=applicants&c>

ევროპელი ადვოკატების ფონდი

ერთიწლისადასამითვისწინ.ევროპელადვოკატთაფონდი (ELF) ჩამოყალიბდა ჰააგაში,ნიდერლანდებში,რომელიც ობიექტურად ახორციელებს დამატებითი ღირებულებების პროექტებს,რომელიც შეიქმნა რათა მოემსახუროს ევროპულ ადვოკატებს და მათთან დაკავშირებული საკითხების მხარედამჭერი პოლიტიკა გაატაროს ევროპაში.შექმნის დღიდან ELF-მა წამოაყენა და განახორციელა რიგი პროექტები.ნაწილი უკვე დასრულებულია,ნაწილი განხორციელების პროცესშია,ხოლო მომავალი პროექტები იგეგმება.ELF-მა მიიღო დაფინანსება ევროკავშირისგან ორ პროექტზე,რომლებიც ეხება სისხლის სამართალს და რომელთა პარტნიორია CCBE.პროექტის თავდაპირველი მიზანია,რომ მიადწიოს ეროვნულ დონეზე შესრულებულ ყოვლისმომცველ ანალიზს მინიმუმ სამი უსაფრთხოების ინსტრუქციით:კანონების ახსნისა და თარგმნის ინსტრუქცია 2010/64;კანონის შესახებ ინფორმაციის ინსტრუქცია 2012/13;ადვოკატთა უფლებების ხელმისაწვდომობის ინსტრუქცია 2013/48.შემდეგი არის



EAW კანონპროექტი,რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ევროპული დაპატიმრების ორდერის სწორ და თანმიმდევრულ განხორციელებას.

ELF-ის მუშაობა ვრცელდება ასევე სხვა სფეროებზეც,როგორცაა მაგალითად მართლმსაჯულება.

ELF-ი ასევე ეხმარება ეროვნულ ადვოკატთა ასოციაციებს საქმიანი გარიგებების ინიცირების მომზადებაში.მაგალითად: ELF-მა და 5 ქვეყნის ასოციაციამ მოიწვევეს ევროკავშირის დაფინანსება 2016 და 2017 წლებში იმიგრაციასა და თავშესაფართან დაკავშირებით სემინარების ჩასატარებლად.

განახლებული ინფორმაცია ELF-ის პროექტებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ: <http://europeanlawyersfoundation.eu/projects/>

მმართველი დირექტორი ალონსო ჰერნანდესი

უდანაშაულობის პრეზუმცია

20 იანვარს ევროპარლამენტმა დაამტკიცა ახალი კანონი,რათა უზრუნველყოს ადამიანის უფლება,რომ იგი ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ სანამ სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში გამოტანილ არ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი .ახალი კანონი ვრცელდება ყველა ეტაპზე იმ მომენტიდან,როდესაც პირი ეჭვმიტანილია,ადანაშაულებენ სისხლის სამართლის დანაშულის ჩადენაში ან სავარაუდოდ ჩაიდინა დანაშული,სანამ საბოლოო პასუხი კითხვაზე:დამნაშეა თუ არა პირი,არ დადგება გამამტყუნებელი განაჩენი.

ეს ახალი წესები მიზნად ისახავს გააძლიეროს წევრი ქვეყნების ნდობა და მხარდაჭერა ერთმანეთის სისხლის სამართლის სისტემისა და სამართლიანი სასამართლოს მიმართ. ასევე დასაფასებელია პარლამენტის მკივე გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით,რომ მონაწილე ქვეყნებს მისცეს შესაძლებლობა შეცვალონ მტკიცების ტვირთი და რომ მტკიცების ტვირთთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა ეკისრება ბრალდების მხარეს.ეს არის სისხლის სამართლის მთავარი პრინციპი.

CCBE-ი ასევე მოხარული იყო,რომ სააბოლოო ტექსტში დაცული იყო დუმილის აბსოლიტური უფლება. ახალი წესების თანახმად დუმილის უფლების გამოყენება და ჩვენების არ მიცემა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს და მოწმობდეს ეჭვმიტანილის კავშირს აღნიშნულ დანაშაულთან.

დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ: (http://www.ccbe.eu/fileadmin/user_upload/NTCdocument/EN_PR_0216pdf1_1453302714.pdf)

სემინარი თემაზე - ადვოკატთა სპეციალიზაცია

2016 წლის 15 აპრილს პოლონეთის ქალაქ კატოვიცეს ადგილობრივ იურიდიულ მრჩეველთა პალატა ატარებს სემინარს თემაზე - ადვოკატთა სპეციალიზაცია.ექსპერტები მთელი მსოფლიოდან მონაწილეობას მიიღებენ ამ სემინარში,რათა განიხილონ ადვოკატის სპეციალიზაციის შემოღების თემა მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა,ასევე ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება.

პარიზის ადვოკატთა ასოციაციის ღონისძიება

2015 წლის 10 დეკემბერს CCBE-ის ყოფილი პრეზიდენტი მარია სლაზაკი წარმოადგენდა CCBE-ის პარიზის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სემინარზე, სადაც მან დააარსა და აღნიშნა ევროპულ ადვოკატთა დღე. შემდეგ მან მონაწილეობა მიიღო ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა კომიტეტების სხდომაზე, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ IBA-ს პრეზიდენტი - დევიდ რივიკინი, ABA-ს ვიცეპრეზიდენტი - ლინდა კლეინი, IABA-ს პრეზიდენტი - კარლოს ლოპესი და ILS-ს პრეზიდენტი - სტეფან დელიელი. თავის მიმართვაში მან დამსწრე საზოგადოებას მოახსენა CCBE-ის მუშაობაზე CSR-ის თაობაზე, რომელიც მოიცავდა ბიზნესისა და ადამიანის უფლებებს, CCBE-ის ხედვას CRS-ის 2002 წლის კომისიაზე. მან პირობა დადო რომ ყოველ მომდევნო წელს გააგრძელებს სახელმძღვანელოების გამოცემას ადვოკატებისათვის. განახლებს ამ სფეროში მიმდინარე მსოფლიო გაუმჯობესებებს. მთავარი საკითხი ამ პროცესში იყო CSR-ის მიერ 2013/2014 წლებში შექმნილი სახელმძღვანელოები, რომელიც მოიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს ასოციაციებისა და ადვოკატებისათვის. მარია სლაზაკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადვოკატის სახელი არ უნდა იყოს დაკავშირებული მათი კლიენტების ცუდ გამოცდილებასთან. ადვოკატი პასუხისმგებელი



CCBE-ის ყოფილი პრეზიდენტი - მარია სლაზაკი

უნდა იყოს მხოლოდ საკუთარ საქციელზე და არა მათ საქციელზე ვისაც ის ემსახურება. ხოლო კლიენტისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადვოკატის მომსახურება და წარმომადგენლობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მან დაარღვია ადამიანის უფლებები. ადვოკატები სრულიად დამოუკიდებელნი არიან თავიანთი საქმის შესრულებაში.

დავიმახსოვროთ თარიღი



2016 წლის 16 თებერვალს CCBE-ის მხარდაჭერით საზოგადოებრივ საქმეთა გაერთიანება ორგანიზებას უწევს ევროკავშირის მართლმსაჯულებით დაინტერესებულთა ფორუმს სახელით: „მართლმსაჯულების მომავალი ევროკავშირში: გამოწვევები და შესაძლებლობები“. სადაც შესაბამისი მხარეები და

პოლიტიკოსები შეხვდებიან და გაიგნობენ ერთმანეთს, განიხილავს საკვანძო საკითხებს და გამოწვევებს, გაიზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას. ეს ღონისძიება გამოსავალს აჩვენებს ბევრ მაღალი რანგის პოლიტიკოსს, თუნდაც ისეთს, როგორცაა ევროკომისარი ვერა ჟუროვა. CCBE-ის პრეზიდენტი მაიკლ ბენშოუც მიიღებს მონაწილეობას აღნიშნულ ფორუმში.

2016 წლის 22 აპრილს CCBE-ის სასაწავლო კომიტეტი ორგანიზებას უწევს კონფერენციას: „ტრენინგი ადვოკატებისათვის - გამოწვევები და შესაძლებლობები“.

ორივე ღონისძიების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით მადელინ კელჰერს kelleher@ccbe.eu

მოახლოებული ღონისძიება

3-4/02: CCBE-ის მუდმივიმოქმედი კომიტეტი, ვენა.

4-6/02: ევროპული პრეზიდენტების 44-ე კონფერენცია, ვენა.

16/02: ევროკავშირის მართლმსაჯულებით დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი: „მართლმსაჯულების მომავალი ევროკავშირში: გამოწვევები და შესაძლებლობები“, ბრიუსელი.